კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა.

რევოლიუციის დროს, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, როცა უთვალავი საფრთხე და უბედურება ემუქრებოდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, ნორჩ და გაუმაგრებელ სახელმწიფოს, წითელ გვარდიამ დაუფასებელი სამსახური გაუწია თავისუფლებასა და სამოქალაქო წესრიგის დამყარებას.

წითელი გვარდია, რომელიც შესდგა მოწინავე მუშებისა და გლეხებისაგან, გმირულის ვაჟკაცობით იცავდა თავისუფლებასა და რევოლიუციას გარეშე და შინაურ მტრებისაგან; მან იტვირთა მთელი სიმძიმე ბრძოლისა გაძლიერებულ ანარქიასთან, რომლის მღვრიე ტალღები წალეკვას უქადდა საქართველოს რესპუბლიკას.

წითელი გვარდიის ამ დიადი სამსახურის აღსანიშნავად, ეროვნული საბჭო ამით აცხადებს წითელ. გვარდიას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო გვარდიად. სახალხო გვარდიაში რჩებიან წითელი გვარდიის ყველა ნაწილები თავის შტაბებით და შედგენილობით.

სახალხო გვარდიის მდგომარეობა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა საერთო სისტემაში და მისი არსებობისა და მოქმედების საფუძველი განისაზღვრება შემდეგი მუხლებით:

მუხ. I. სახალხო გვარდიის მიზანი იგივეა, რაც სახელმწიფოს მთელი შეიარაღებულ ძალისა - დაცვა დემოკრატიულ რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების.

მუხ. 2. სახალხო გვარდიაში შესვლა შეუძლიან ყველა მსურველს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან, რომელიც არ ირიცხება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, არის უმწიკლო და ერთგული დემოკრატიულ რესპუბლიკისა. სახალხო გვარდიაში ჩარიცხვა არავის ანთავისუფლებს სამხედრო ბეგარისაგან.

მუხ. 3. სახალხო გვარდიაში მსურველების მიღება ევალებათ მის რაიონულ შტაბებს, თანახმად იმ ინსტრუქციისა, რომელსაც შეიმუშავებს გვარდიის მთავარი შტაბი და დაამტკიცებს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს ეროვნული არქივი

მუხ. 4. სახალხო გვარდიელი ვალდებულია, სათანადო შტაბის მოწოდებისთანავე, დაუყოვნებლივ დაანებოს თავი ჩვეულებრივ შრომას და გამოცხადდეს დანიშნულ ადგილს ყველა იარაღით და გაწყობილობით, რომელიც შტაბისაგან აქვს მიღებული.

მუხ. 5. სახალხო გვარდიელი ვალდებულია რიგიანად შეინახოს მიღებული იარაღი და გაწყობილობა. სამსახურის გარეშე არა აქვს უფლება გამოცხადდეს საჯარო ადგილებში იარაღით ან იხმაროს მიღებული გაწყობილობა.

მუხ. 6. სამსახურის დროს /მეცადინეობის, დარაჯობის, საბრძოლველად გამგზავრების ან რაიმე დავალების ასრულების დროს/ სახალხო გვარდიელი ემორჩილება სამხედრო დისციპლინის ყოველ მოთხოვნილებას და საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მოქმედ ყოველ კანონს. მე-4 და მე-5 მუხლის დარღვევისათვის სახალხო გვარდიელი ისევე აგებს პასუხს, როგორც ჯარის-კაცი მზგავსი დანაშაულისათვის.

მუხ. 7. სახალხო გვარდიაში სამსახური უსასყიდლოა, მაგრამ სახალხო გვარდიელის ოჯახს, გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს, ემლევა მთავრობისაგან შესაფერი დახმარება. რაოდენობა დახმარებისა განისაზღვრება ცალკე კანონით. გვარდიელს ადგილი უჯამაგიროდ შეენახება. გვარდიელს, რესპუბლიკის სამსახურში დაშავებულს, ან მოკლულის ოჯახს ემლევა დახმარება, რომლის რაოდენობა განისაზღვრება თანახმად სამხედრო კანონების-ჯარისკაცთა დახმარების შესახებ.

სახალხო გვარდიის ინსტრუქტორები და ოფიცრები მიიღებენ სასყიდელს, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ, საქართველოს რესპუბლიკის ჯარში დაწესებულ ჯამაგირების მიხედვით.

მუხ. 8. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებს დანიშნავს მთავრობის თავმჯდომარე იმ კანდიდატებისაგან, რომლებსაც წარმოადგენს მთავარი შტაბი. რაიონულ შტაბების წევრებს დანიშნავს მთავარი შტაბი; იგივე შტაბი დანიშნავს სახალხო გვარდიის ცალკე ნაწილების უფროსებს, რომელნიც დამტკიცებულ იქნებიან თანამდებობაზე იმავე წესით, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ჯარის სათანადო ნაწილების უფროსები.

საქართველოს ეროვნული არქივი

მუხ. 9. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მთავრობა ამ-ლევს საჭირო თანხას, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს სამხე-დრო სამინისტროს უწყების ხარჯთაღრიცხვაში.

მუხ. IO. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, სამხედრო სა-მინისტროს ნებართვით, შეუძლიან სახალხო გვარდიელებისაგან შეადგინოს ყოველგვარი შეიარაღებული ნაწილები, რომელთა შე-იარაღებისა და გაწვრთვნისათვის თვითონ ჭზრუნავს.

სამხედრო უწყება ამლევს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ყოველგვარ მოწყობილობას გვარდიის საჭიროებისათვის, თანახმად მოთხოვნილებისა.

მუხ. II. სახალხო გვარდიის ვერც ერთ ნაწილს ვერ გა-მოიწვევენ ისე, თუ არა მთავარი შტაბის საშუალებით. სა-ხალხო გვარდიის გამოწვევის უფლება ეკუთვნის მთავრობის თა-ვმჯდომარეს. თუ თავმჯდომარისათვის შეუძლებელია ამ უფლე-ბით სარგებლობა, სახალხო გვარდია შეიძლება გამოწვეულ იქ-მნეს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მიერ. საგანგებო მნიშ-ვნელობის შემთხვევაში სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლე-ბა გადადის პირდაპირ მის მთავარ შტაბზე და რაიონულ შტა-ბებზე, მხოლოდ რაიონული შტაბი ამ შემთხვევას აცნობებს მთა ვარ შტაბს.

მუხ. I2. სახალხო გვარდიის ყველა ნაწილი, გამოწვეული თანახმად მე II მუხლისა, ემორჩილება იმ პირს და უწყებას, რომლის განკარგულებაში იგზავნება გამომწვეველთა მიერ.

2 ივლისი I9I8 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ნ. ხომერიკი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ნ. რამიშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი